საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/190 "17" დეკემბერი 2021 წ.

განკარგულება

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მოსამართლეების ე. ბებიასა და ფ. ფურცხვანიძის გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონულ სასამართლოში მივლინების შესახებ

გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონულ სასამართლოში არსებული მოსამართლის ერთი საშტატო ერთეული ვაკანტურია, ხოლო საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ აღნიშნულ სასამართლოში 2020 წლის 23 დეკემბრის №1/240 განკარგულებით მივლინებულ მოსამართლეთა მივლინების 1-წლიანი ვადა იწურება 2021 წლის 23 დეკემბერს. გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონულ სასამართლოში მოსამართლის დანიშვნამდე მიზანშეწონილად ჩაითვალა უფლებამოსილების განსახორციელებლად მოსამართლის მივლინება.

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 37^1 მუხლის მოთხოვნების გათვალისწინებით, გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონული სასამართლოს მოსამართლის უფლებამოსილების განხორციელების წინადადებით მიემართათ ტერიტორიულად ყველაზე ახლოს მდებარე ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მოსამართლეებს. მივლინებასთან დაკავშირებით მიღებულ იქნა მოსამართლე ეკატერინე ბებიას თანხმობა სისხლის სამართლის სპეციალიზაციის საქმეთა განხილვაზე და მოსამართლე ფატი ფურცხვანიძის თანხმობა - სამოქალაქო და ადმინისტრაციული სპეციალიზაციის საქმეთა განხილვაზე. აღნიშნული მივლინება არ გამოიწვევს მოსამართლეთა სამუშაო ადგილის ცვლილებას, რადგან გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონული სასამართლო განთავსებულია ზუგდიდის რაიონული სასამართლოს შენობაში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 30-ე მუხლის პირველი პუნქტისა და 37^1 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, 2021 წლის 24 დეკემბრიდან 2022 წლის 23 დეკემბრის ჩათვლით:

1. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლე ეკატერინე ბებია მივლინებულ იქნეს გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონულ სასამართლოში სისხლის სამართლის სპეციალიზაციის მოსამართლის უფლებამოსილების განსახორციელებლად.

2. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ფატი ფურცხვანიძე მივლინებულ იქნეს გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონულ სასამართლოში სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაციის მოსამართლის უფლებამოსილების განსახორციელებლად.

3. ეკატერინე ბებიამ და ფატი ფურცხვანიძემ იმავდროულად მოსამართლის უფლებამოსილება განახორციელონ ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი